სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი ,,ახალი ტალღა"

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

პრეამბულა

ქ. ბათუმი 27 აპრილი, 2016 წელი

უმაღლესი სახელოვნებო განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმების ძირითადი პრინციპების, სწავლებისა და შემოქმედების ინტეგრირების, ერთობლივი სანახაობითი ღონისძიებების განხორციელების მიზნით სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი და სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი ,,ახალი ტალღა" თანხმდებიან ურთიერთ თანამშრომლობაზე.

ურთიერთანამშრომლობა ხელს შეუწყობს:

- შემოქმედებითი მუშაობისა და აკადემიური განათლებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ეფექტურად გამოყენებას;
- თეორიული და საშემსრულებლო მიმართულების სპეციალისტთა მიერ მასტერკლასების, საჯარო ლექციების და სხვა სასწავლო-შემოქმედებითი მუშაობის ჩატარებას;
- სტუდენტთა პროფესიული პრაქტიკისათვის ხელშეწყობას;
- ცალკეულ მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამების მომზადებაში თანამშრომლობასა და კონსულტაციების გაწევას;
- ერთობლივი შემოქმედებითი პროექტების შემუშავებასა და განხორციელებას.

მუხლი 1

1.1. მხარეები აწარმოებენ შეთანხმებულ პოლიტიკას კვლევისა და განათლებისათვის აუცილებელი რესურსების მოზიდვისა და სასწავლო-შემოქმედებითი სამუშაოების დაგეგმისათვის ორმხრივი ინტერესების შესაბამისად.

1.2. თითოეული მხარის მნიშვნელოვან მატერიალურ-ტექნიკურ რესურებს პროფესორები, მასწავლებლები და სამეცნიერო კვლევითი და სასწავლო შემოქმედებითი პროექტებში ჩართული სტუდენტები გამოიყენებენ ურთიერთშეთანხმებით.

1.3. მხარეები გაუწევენ ერთმანეთს კონსულტაციებს და განახორციელებენ ერთობლივ სასწავლო შემოქმედებით პროექტებს.

1.4. მხარეები მონაწილეობას მიიღებენ ერთობლივი პროექტების შემუშავებაში (ინფორმაციის გაცვლა, მეთოდური დახმარება და სხვა).

1.5. განახორციელებენ ერთობლივ სამეცნიერო სემინარებს, კონფერენციებს, სიმპოზიუმებს, ფესტივალებს, გამოფენებს, საკონცერტო წარმოდგენებსა და სხვა პროექტებს.

1.6. სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღა" საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში ხელს შეუწყობს სტუდენტების პრაქტიკის გავლასა და კურსდამთავრებულთა სტაჟირებას.

მუხლი 2

2.1. წინამდებარე შეთანხმებაში თითოეულ მხარეს შეუძლია ცვლილებებისა და დამატებების შეთავაზება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

2.2. მხარეთა შორის ურთიერთობათა სპეციფიკა, რომელიც არაა განსაზღვრული მემორანდუმში, რეგულირედება ორმხრივი შეთანხმებით.

2.3. მხარეები აძლევენ ერთმანეთს გარანტიას, რომ ისინი უპირობოდ, სრულად და კეთილსინდისიერად შეასრულებენ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ყველა პირობას.

მუხლი 3

3.1. წინამდებარე მემორანდუმის შესრულებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები გადაიჭრება კონსულტაციების და მოლაპარაკების გზით.

3.2. ეს მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ რაიმე სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე.

3.3. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთა თითო პირები გადაეცემა მხარეებს.

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი

---------- ე. მესხია

საქართველო, ბათუმი,
ლუკა ასათიანის ქ. № 37
ტ. +995(422) 27-86-67; +995(422) 27-98-95;
ელ. ფოსტა: info@batu.edu.ge
ვებ.გვ. batu.edu.ge

სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღა"-ს დირექტორი

---------- დ. მჭედლიშვილი

საქართველო, ქობულეთი
რუსთაველის ქ. № 154
ტელ: + 995 (426) 266851; 246 54 620
ელ. ფოსტა: kobcollege@gmail.com
ვებ.გვ. www.kpc.ge